

## საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წესდება

### თავი I. ზოგადი დებულებანი

#### მუხლი 1. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სტატუსი

1. საქართველოს ნოტარიუსთა პალატა (შემდგომ ტექსტში „პალატა“) არის ნოტარიუსთა სავალდებულო წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად აღასრულებს თავის უფლებებსა და ვალდებულებებს. პალატა ანგარიშვალდებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინაშე „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ წესდებით დადგენილ ფარგლებში და წესით.

2. პალატა შექმნილია „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

3. პალატის საქმისწარმოების ენაა ქართული ენა.

4. პალატას აქვს ემბლემა და ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, საბანკო ანგარიშები (მათ შორის, სავალუტო ანგარიში), იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

5. პალატის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

### თავი II. პალატის წევრობა. საწევრო გადასახადი

#### მუხლი 2. წევრობა

1. პალატის წევრია ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშნული ყველა ნოტარიუსი.

2. ნოტარიუსი პალატის წევრი ხდება თანამდებობაზე დანიშვნისთანავე.

3. პალატის წევრობა წყდება ნოტარიუსის თანამდებობიდან გათავისუფლებისთანავე.

#### მუხლი 3. სავალდებულო გადასახდელები ნოტარიუსთა პალატაში

1. პალატის ყველა წევრი ვალდებულია გადაიხადოს ყოველთვიური საწევრო გადასახადი (შემდგომში – „საწევრო“) ამ წესდებით დადგენილი წესით.

2. საწევროს განაკვეთია ნოტარიუსის საერთო შემოსავლის (ბრუნვის) 3%. საწევრო გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის მიზნებისათვის საერთო შემოსავალში იგულისხმება თანხა, რომელიც ნოტარიუსმა მიიღო სანოტარო მოქმედებების შესრულებისათვის საზღაურის სახით, დამატებული ღირებულების გადასახადის, სანოტარო რეესტრში რეესტრაციის საფასურისა და სანოტარო მოქმედებასთან დაკავშირებით სანოტარო მოქმედების მონაწილის მიერ ანაზღაურებული ხარჯების გამოკლებით.

3. საწევროს ოდენობა ერთიანია ყველა ნოტარიუსისათვის.

4. ნოტარიუსი ვალდებულია საწევრო გადაიხადოს ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის ოც რიცხვამდე. ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში ნოტარიუსი ვალდებულია საწევროსთან ერთად გადაიხადოს საურავი გადასახდელი თანხის 0,07%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. საურავის დარიცხვა წარმოებს სამი თვის განმავლობაში.

5. პალატის წევრი ვალდებულია ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის ათ რიცხვამდე საქართველოს ნოტარიუსთა პალატას გადაუხადოს სანოტარო რეესტრში რეესტრაციის საფასური კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით. ვადის დარღვევის შემთხვევაში, თუ ნოტარიუსი 5 კალენდარული დღის ვადაში არ უზრუნველყოფს რეესტრში რეესტრაციის საფასურის გადახდას, ნოტარიუსთა პალატის გამგეობის გადაწყვეტილებით ნოტარიუსს შეუწყდება წვდომა სანოტარო მოქმედებათა ელექტრონულ რეესტრში დავალიანების სრულად გადახდამდე. (31.03.2012წ.)

6. არასაპატიო მიზეზით საწევროს ან/და ნოტარიუსთა პალატაში სხვა სავალდებულო გადასახდელის გადაუხდელობა ნოტარიუსის მიმართ დისციპლინური დევნის ადმკრის საფუძველია.

7. ნოტარიუსი, რომელსაც შეუჩერდა უფლებამოსილება, არ იხდის საწევროს და სანოტარო

რეესტრში რეგისტრაციის საფასურს უფლებამოსილების შეჩერების განმავლობაში.

8. პალატა უფლებამოსილია შეამოწმოს ნოტარიუსის მიერ ნოტარიუსთა პალატაში სავალდებულო გადასახდელების გადახდის სისწორე და ამ მიზნით გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია ნოტარიუსისაგან.

9. ნოტარიუსის მიერ საწევროს ზედმეტი ოდენობით გადახდის შემთხვევაში ნოტარიუსი უფლებამოსილია დაიბრუნოს ზედმეტად გადახდილი თანხა, ან ჩაითვალოს მომდევნო თვეების საწევროს ანგარიშში.

### **თავი III. პალატის ორგანიზაცია**

#### **მუხლი 4. პალატის საქმიანობის ორგანიზება**

1. პალატის საქმიანობა ხორციელდება პალატის საერთო კრების, გამგეობის, კომისიებისა და წარმომადგენლობის მეშვეობით.

2. პალატის უმაღლესი მმართველი ორგანოა პალატის წევრთა საერთო კრება შემდგომ ტექსტში („საერთო კრება“).

3. პალატის აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა – საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობა.

4. პალატაში იქმნება ორი კომისია ნოტარიუსთა პალატის საფინანსო-სარევიზიო კომისია და ეთიკის კომისია.

5. ნოტარიუსთა პალატის მმართველობის ორგანოების წევრს შესაბამის სხდომაზე მონაწილეობა შეუძლია პირდაპირი კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, თუ ამისათვის არსებობს პატივსაძეები მიზეზი, რაც უნდა აღინიშნოს სხდომის ოქმში. (31.03.2012წ.)

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სხდომის ოქმზე მონაწილე პირის ხელმოწერა სრულდება:

ა) წევრის მიერ ხელმოწერაზე უფლებამოსილი იმ პირის დასახელებით, რომელიც უშუალოდ ესწრებოდა სხდომას;

ბ) მონაწილის პირადი ხელმოწერით, სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს ერთი კვირის ვადაში;

გ) ელექტრონული ხელმოწერით. (31.03.2012წ.)

#### **მუხლი 5. საერთო კრების კომპეტენცია**

##### **1. საერთო კრება:**

ა) ამტკიცებს პალატის წესდებებს და ცვლილებები შეაქვს მასში. წესდებისა და მასში შესატანი ცვლილებების პროექტს ამზადებს პალატის გამგეობა.

ბ) განიხილავს ნოტარიატის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ წინადადებებს, საკითხებსა და პრობლემებს.

გ) ამტკიცებს მომავალი წლის ბიუჯეტს და გასული წლის ბალანსს, რომელთაც წარადგენს პალატის გამგეობა.

დ) განიხილავს სხვა საკითხებს საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

ე) ამტკიცებს პალატის საბიუჯეტო ფონდების დებულებას.

#### **მუხლი 6. საერთო კრების მოწვევის პროცედურა**

1. წლიური საერთო კრება ტარდება ყოველი წლის იანვარში.(30.03.2013 წ.)

2. რიგგარეშე კრება მოიწვევა:

ა) საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინადადებით;

ბ) პალატის გამგეობის გადაწყვეტილებით. გამგეობის გადაწყვეტილებით უნდა დადგინდეს კრების თარიღი და დღის წესრიგი;

გ) პალატის წევრთა საერთო რიცხვის ერთი მეხუთედის მოთხოვნით;

დ) ამ წესდებით დადგენილ შემთხვევაში და წესით.

3. პალატის გამგეობის თავმჯდომარე ვალდებულია რიგგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნის მიღებიდან სამი კალენდარული დღის ვადაში დანიშნოს რიგგარეშე კრების თარიღი. რიგგარეშე კრება უნდა ჩატარდეს მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა, ამასთანავე, გამგეობის თავმჯდომარე ვალდებულია კრების დღის წესრიგში შეიტანოს ის საკითხი, რომლის განხილვასაც ითხოვს რიგგარეშე კრების მოწვევის ინიციატორი.

4. საერთო კრების მოწვევის ვალდებულება ეკისრება პალატის გამგეობას. გამგეობა ვალდებულია კრება მოიწვიოს პალატის წევრი ნოტარიუსებისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით კრების თარიღამდე არანაკლებ 14 დღით ადრე. შეტყობინება კრების მოწვევის შესახებ შეიძლება გაიგზავნოს ელექტრონული წესით. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს კრების ჩატარების თარიღი, ადგილი, დრო და დღის წესრიგი, აგრეთვე კრების მოწვევის ინიციატორი. (30.03.2013 წ.)

### **მუხლი 7. კრების მონაწილეები**

1. კრების მუშაობაში ნოტარიუსი მონაწილეობს პირადად, ან იმ წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც პალატის წევრია. წარმომადგენლობა ფორმდება წერილობით. ამასთანავე, ნოტარიუსი ვალდებულია პალატის გამგეობას წერილობით აცნობოს კრებაზე პირადად დაუსწრებლობის მიზეზი.

2. ნოტარიუსის მიერ არასაპატიო მიზეზით კრებაზე დაუსწრებლობა იწვევს ნოტარიუსის დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

### **მუხლი 8. კრების უფლებაუნარიანობა**

1. საერთო კრება უფლებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია წევრთა ნახევარზე მეტი.

2. თუ საერთო კრება არაუფლებაუნარიანია, მაშინ მესამე შაბათს იმავე დღის წესრიგით ტარდება განმეორებითი კრება.

3. კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

### **მუხლი 9. კრების საჯაროობა**

1. საერთო კრება ტარდება ღიად და საჯაროდ.

2. იმ შემთხვევაში, თუ კრება იხილავს საკითხს, რომლის გახმაურება კანონით აკრძალულია, კრების გადაწყვეტილებით კრება ან მისი რომელიმე ნაწილი ცხადდება დახურულად.

### **მუხლი 10. კრების თავმჯდომარე. კრების ოქმი**

1. კრებას თავმჯდომარეობს კრების მიერ არჩეული ნოტარიუსი.

2. კრების ოქმს ადგენს მდივანი და მას ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე და კრების მდივანი.

3. კრების თავმჯდომარე ვალდებულია კრების ჩატარებიდან 5 დღის ვადაში საქართველოს იუსტიციის მინისტრს წარუდგინოს კრების ოქმი.

### **მუხლი 11. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობა**

1. პალატის გამგეობა არის საერთო კრების აღმასრულებელი ორგანო.

2. გამგეობის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

3. პალატას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აქვს წარმომადგენლობა, რომლის ბიუჯეტი მტკიცდება პალატის ბიუჯეტთან ერთად და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. გამგეობა უფლებამოსილია რეგიონებში შექმნას სხვა პალატის წარმომადგენლობები და სტრუქტურული ერთეულები.

5. პალატის წარმომადგენლობა:

ა) უზრუნველყოფს იმ ნოტარიუსთა არქივში არსებული დოკუმენტების შენახვას, დამუშავებასა და გაცემას, რომელთაც შეუჩერდათ ან შეუწყდათ უფლებამოსილება;

ბ) იმ ნოტარიუსთა არქივში არსებული დოკუმენტების შენახვას, დამუშავებასა და გაცემას, რომლებიც ახორციელებენ ნოტარიუსის ფუნქციებს, მაგრამ მათი არქივის ნაწილი ინახება პალატაში.

გ) მოთხოვნის შემთხვევაში, გამგეობას აწვდის ინფორმაციას წარმომადგენლობის სამოქმედო ტერიტორიაზე მოქმედი ნოტარიუსების საქმიანობის შესახებ;

დ) გამგეობის გადაწყვეტილებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

## **მუხლი 12. პალატის გამგეობის შემადგენლობა**

1. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობა შედგება გამგეობის თავმჯდომარის, გამგეობის თავმჯდომარის მოადგილისა და 5 წევრისგან, რომელთაც სამი წლის ვადით დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, ირჩევს პალატის წევრთა საერთო კრება. (31.03.2012წ.)

2. გამგეობის თავმჯდომარე აირჩევა „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის და გამგეობის წევრის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საინიციატივო ჯგუფს არანაკლებ ოცი ნოტარიუსის შემადგენლობით. შესაბამისი ინიციატივა დასახელებული კანდიდატურის წერილობით თანხმობასთან ერთად კრების ჩატარებამდე სულ ცოტა ოცდაოთხი საათით ადრე უნდა წარედგინოს პალატის გამგეობას.

3. გამგეობის უფლებამოსილება იწყება გამგეობის შემადგენლობის არჩევის დღიდან და გრძელდება სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ამასთანავე, ვადის გასვლის შემდეგ უფლებამოსილება ავტომატურად გრძელდება გამგეობის ახალი შემადგენლობის უფლებამოსილების ცნობამდე.

4. გამგეობის წევრს ვადამდე უწყდება უფლებამოსილება:

ა) თუ გამგეობის წევრს, როგორც ნოტარიუსს შეუჩერდა, ან შეუწყდა უფლებამოსილება. გამგეობის წევრის უფლებამოსილება შეწყვეტილად ითვლება უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველის წარმოშობისთანავე;

ბ) გადადგომის შემთხვევაში. გადადგომის შესახებ წერილობითი განცხადება შეიძლება წარედგინოს გამგეობას, ან საერთო კრებას. გამგეობის წევრის უფლებამოსილება შეწყვეტილად ითვლება გადადგომის შესახებ განცხადების წარდგენის დღიდან;

გ) საერთო კრების გადაწყვეტილებით.

5. გამგეობის თავმჯდომარე ვალდებულია გამგეობის წევრის ვაკანსიის წარმოშობიდან 45 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს საერთო კრების ჩატარება და გამგეობის ახალი წევრის არჩევა გამგეობის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

6. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტს ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება, ერთი თვის ვადაში ტარდება გამგეობის მთელი შემადგენლობის არჩევნები, ამასთანავე, გამგეობის დარჩენილი წევრები თავიანთ უფლებამოსილებას ასრულებენ ახალი შემადგენლობის უფლებამოსილების ცნობამდე.

7. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა გამგეობის ყველა წევრს შეუწყდება უფლებამოსილება, ან გამგეობა სრულიად ქმედუუნაროა, საქართველოს იუსტიციის მინისტრი ერთი თვის ვადაში ატარებს გამგეობის ახალ არჩევნებს.

## **მუხლი 13. გამგეობის კომპეტენცია**

1. პალატის გამგეობა:

ა) წარმოადგენს საქართველოს ნოტარიატს, იცავს საქართველოს ნოტარიატისა და თითოეული ნოტარიუსის კანონიერ ინტერესებს საჯარო ხელისუფლების ყველა ორგანოსა და სასამართლოში;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ერთი ან რამდენიმე ნოტარიუსის (რომელთაც აქვთ უფლება ინდივიდუალურად დაიცვან თავიანთი უფლებები) მიმართ დაწყებულია სასამართლო პროცესი ნოტარიატის შესახებ კანონმდებლობის, ან მომიჯნავე კანონმდებლობის დარღვევის საფუძველით, გამგეობა უფლებამოსილია ჩაერთოს სასამართლო პროცესში დამოუკიდებლად, ან ჩაერთოს სასამართლო პროცესში, რომელიც დაწყებულია ნოტარიუსის მიერ;

გ) ამზადებს ნოტარიატის ფუნქციონირების შესახებ თავის მოსაზრებებსა და წინადადებებს და წარუდგენს მათ საქართველოს იუსტიციის მინისტრს;

დ) ნოტარიატის წარმატებით ფუნქციონირების მიზნით შეისწავლის დაზღვევის, პალატის ფონდების, და სხვა საკითხებს.

ე) ზრუნავს ნოტარიუსთა პროფესიული მომზადების ხარისხის გაუმჯობესებისათვის და ამ მიზნით ატარებს სემინარებს, კონფერენციებს, კოლოქვიუმებს და სხვა მსგავს ღონისძიებებს;

ვ) იცავს ნოტარიუსის პროფესიულ ღირსებას;

ზ) ამზადებს პროექტს სანოტარო მომსახურების ტარიფების შესახებ. კანონმდებლობით დადგენილი წესით ზედამხედველობს ნოტარიუსის მიერ სანოტარო მომსახურების საზღაურის გადახდევინების სისწორეს;

თ) შეიმუშავებს ნოტარიუსთა ეთიკის კოდექსსა და დეონტოლოგიის ნორმებს და დასამტკიცებლად წარუდგენს პალატის წევრთა საერთო კრებას; (31.03.2012წ.)

ი) საკუთარი ინიციატივით, ან კომპეტენტური ორგანოების თხოვნით გამოთქვამს თავის მოსაზრებებს ნორმატიული აქტების პროექტების შესახებ;

კ) აწარმოებს საქართველოს ყველა ნოტარიუსის პირად საქმეს, სადაც აღირიცხება ყველა ინფორმაცია ნოტარიუსის საქმიანობის შესახებ (მათ შორის, ნოტარიუსის საქმიანობის შემოწმების შედეგები, ნოტარიუსისათვის შეფარდებული დისციპლინური სასჯელები);

ლ) ამტკიცებს გამგეობის აპარატისა და დებულებას;

მ) შეიმუშავებს სტაჟირების გავლის წესს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრს.

ნ) აკონტროლებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პალატის წარმომადგენლობისა და სხვა წარმომადგენლობების მუშაობას;

ო) ასრულებს ამ წესდებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა ფუნქციებს.

#### **მუხლი 14. გამგეობის თავმჯდომარე**

1. თავმჯდომარე წარმოადგენს საქართველოს ნოტარიატსა და გამგეობას ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობებში, ხელმძღვანელობს გამგეობის სხდომებს, ასრულებს საერთო კრებისა და გამგეობის გადაწყვეტილებებს და ახორციელებს ყველა სხვა საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია გამგეობის ფუნქციებთან.

2. თავმჯდომარე უფლებამოსილია საგანგებო შემთხვევებში, როცა შეუძლებელია გამგეობის რიგგარეშე სხდომის მოწვევა და დაყოვნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ნოტარიატის ინტერესებს, შეასრულოს გამგეობის ფუნქციები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები. იგი ვალდებულია ეს გადაწყვეტილებები დასამტკიცებლად წარუდგინოს გამგეობის პირველსავე სხდომას.

3. თავმჯდომარის არყოფნისას მის ფუნქციებს ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

4. თავმჯდომარის მოადგილის არყოფნისას მის ფუნქციებს ასრულებს გამგეობის უხუცესი წევრი.

5. თავმჯდომარე თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს.

#### **მუხლი 15. გამგეობის სხდომა**

1. გამგეობის სხდომა ტარდება თვეში ერთხელ მაინც.

2. გამგეობის სხდომას წერილობით იწვევს თავმჯდომარე სხდომამდე არანაკლებ 5 დღით ადრე.

3. თუ თავმჯდომარის აზრით, საჭიროა საკითხების სასწრაფო განხილვა, იგი უფლებამოსილია სხდომა მოიწვიოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვადის დაცვის გარეშე, ელ-ფოსტის, ფაქსის, დეპეშის ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

4. გამგეობის წევრი ვალდებულია დაესწროს გამგეობის სხდომას. სხდომაზე არასაპატიო მიზეზით დაუსწრებლობა საშუალო ხარისხის დისციპლინური გადაცდომაა;

წევრს, რომელიც სამჯერ ზედიზედ არასაპატიო მიზეზით არ ესწრება გამგეობის სხდომას, ავტომატურად უწყდება გამგეობის წევრის უფლებამოსილება.

5. სხდომა უფლებათნარია, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ ნახევარი. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფისას გადაწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

6. გამგეობის სხდომისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე გამგეობის ყველა წევრი (15.06.2010წ.).

## **მუხლი 16 . აღმასრულებელი დირექტორი**

1. ნოტარიუსთა პალატის მიმდინარე ადმინისტრაციულ-სამეურნეო ფუნქციების განხორციელების უზრუნველსაყოფად, პალატის გამგეობის მიერ შეიძლება დანიშნულ იქნეს პალატის აღმასრულებელი დირექტორი.

2. აღმასრულებელი დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს პალატის აპარატის საქმიანობას;

ბ) გამგეობის წერილობითი დავალებით ახორციელებს პალატის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვისა და გამგეობის გადაწყვეტილებების შესაბამისად, ამ მიზნით წარმოადგენს ნოტარიუსთა პალატას ადმინისტრაციულ ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

გ) პასუხისმგებელია ნოტარიუსთა პალატაში არსებული საჯარო ინფორმაციის დაცვასა და კანონმდებლობის შესაბამისად, დაინტერესებული პირებისათვის გაცემაზე;

დ) ასრულებს გამგეობის მიერ მასზე დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. აღმასრულებელი დირექტორი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია პალატის გამგეობის წინაშე. აღმასრულებელი დირექტორი პასუხს აგებს პალატისათვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია მისი მხრიდან უფლებამოსილებათა გადამეტებით, დაკისრებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

4. ნოტარიუსთა პალატასა და აღმასრულებელ დირექტორს შორის ურთიერთობების მოწესრიგებისას გამოიყენება დავალების ხელშეკრულების ნორმები.

## **მუხლი 17. ანგარიშვალდებულება საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინაშე**

პალატის გამგეობა ვალდებულია წლიური საერთო კრების ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა საქართველოს იუსტიციის მინისტრს წარუდგინოს გამგეობის საქმიანობის წერილობითი წლიური ანგარიში და მიაწოდოს მოსაზრებები ნოტარიატის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემების, სადისციპლინო პრაქტიკის შესახებ, აგრეთვე იმ წინადადებების შესახებ, რომელთა რეალიზაცია საჭიროა ნოტარიატის ფუნქციონირების ხარისხის გასაუმჯობესებლად. (30.03.2013 წ.).

## **თავი IV. პალატის ხელმძღვანელობის ვალდებულება. საჩივრები**

### **მუხლი 18. პალატის ორგანოების მიერ ფუნქციების შესრულება**

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ორგანოებში არჩეული ნოტარიუსი ვალდებულია თავისი ფუნქციები შეასრულოს ანაზღაურების გარეშე. ამასთან, გამგეობა უფლებამოსილია პალატის ორგანოებში არჩეულ ნოტარიუსს გამგეობის ფონდიდან აუნაზღაუროს განაცდური (15.06.2010 წ.).

### **მუხლი 19. ნოტარიუსის საჩივრები**

ნოტარიუსს უფლება აქვს სასამართლო წესით გაასაჩივროს მის მიმართ პალატის გამგეობის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება.

## **თავი V. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის**

### **საფინანსო-სარევიზიო კომისია**

#### **მუხლი 20. კომისიის ფუნქციები**

საფინანსო-სარევიზიო კომისია არის ნოტარიუსთა პალატის კონტროლის ორგანო, რომელიც ამოწმებს პალატის გამგეობის საფინანსო საქმიანობისა და საბუღალტრო აღრიცხვის კანონიერებას.

#### **მუხლი 21. კომისიის არჩევის წესი და შემადგენლობა**

1. კომისია აირჩევა პალატის საერთო კრების მიერ სამი წლის ვადით.

2. კომისია შედგება ხუთი წევრისაგან. კომისიის წევრის კანდიდატურის დასახელებს

უფლება აქვს საინიციატივო ჯგუფს არანაკლებ ათი ნოტარიუსის შემადგენლობით. შესაბამისი ინიციატივა დასახელებული კანდიდატურის წერილობით თანხმობასთან ერთად კრების ჩატარებამდე სულ ცოტა ოცდაათი საათით ადრე უნდა წარედგინოს პალატის გამგეობას.

3. კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს კომისიის უფლებამოსილების ვადით.

4. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პალატის სხვა ორგანოს წევრი.

5. საერთო კრება უფლებამოსილია ვადამდე გაიწვიოს კომისიის წევრი ან გადააყენოს სარევიზიო კომისიის მთელი შემადგენლობა, თუ სარევიზიო კომისია ჯეროვნად არ ასრულებს თავის ვალდებულებებს.

6. კომისიის წევრი უფლებამოსილია გადადგეს.

## **მუხლი 22. კომისიის წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა**

1. კომისიის წევრს ვადამდე უწყდება უფლებამოსილება:

ა) თუ წევრს, როგორც ნოტარიუსს შეუჩერდა, ან შეუწყდა უფლებამოსილება. წევრის უფლებამოსილება შეწყვეტილად ითვლება უფლებამოსილების საფუძვლის წარმოშობისთანავე;

ბ) გადადგომის შემთხვევაში. გადადგომის შესახებ წერილობითი განცხადება შეიძლება წარედგინოს გამგეობას, ან საერთო კრებას. გამგეობის წევრის უფლებამოსილება შეწყვეტილად ითვლება გადადგომის შესახებ განცხადების წარდგენის დღიდან;

გ) საერთო კრების გადაწყვეტილებით.

2. კომისიის წევრის ვაკანსიის შევსება ხდება მომდევნო საერთო კრებაზე. ახალი წევრი აირჩევა კომისიის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

3. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრთა ნახევარზე მეტს ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება, 30 დღის ვადაში ტარდება კომისიის მთელი შემადგენლობის არჩევნები, ამასთანავე, კომისიის დარჩენილი წევრები თავიანთ უფლებამოსილებას ასრულებენ ახალი შემადგენლობის უფლებამოსილების ცნობამდე.

4. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა კომისიის ყველა წევრს შეუწყდება უფლებამოსილება, ან კომისია სრულიად ქმედუუნაროა, პალატის გამგეობის თავმჯდომარე 30 დღის ვადაში უზრუნველყოფის რიგგარეშე კრების მოწვევასა და კომისიის ახალი შემადგენლობის არჩევნებს კომისიის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

## **მუხლი 23. კომისიის ვალდებულებები**

სარევიზიო კომისია ვალდებულია ყოველთვიურად შემოწმოს პალატის გამგეობისა და გამგეობის თავმჯდომარის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კანონიერება და შესაბამისობა საერთო კრების მიერ დადგენილ ხარჯთაღრიცხვასთან (ბიუჯეტთან).

## **მუხლი 24. შემოწმების წესი და ფორმა**

1. სარევიზიო კომისია უფლებამოსილია გამგეობისაგან გამოითხოვოს პალატის გამგეობის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია, მათ შორის, საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაცია და მოითხოვოს ახსნა-განმარტებანი როგორც პალატის გამგეობის წევრების. ისე აპარატის თანამშრომლებისაგან.

2. აუცილებლობის შემთხვევაში სარევიზიო კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს სპეციალისტი (აუდიტორი), სპეციალისტის შრომის ანაზღაურება ხდება პალატის ხარჯზე გონივრულ ფარგლებში.

## **მუხლი 25. გამგეობის ვალდებულება**

1. პალატის გამგეობა ვალდებულია საფინანსო-სარევიზიო კომისიას შეუქმნას სამუშაო პირობები.

## **მუხლი 26. სარევიზიო კომისიის მუშაობის წესი**

1. სარევიზიო კომისიის სხდომა იმართება თვეში არანაკლებ ერთხელ.

2. სარევიზიო კომისიის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა კომისიის თავმჯდომარის მიერ თავისი

ინიციატივით ან არანაკლებ ორი წევრის წერილობითი მოთხოვნით. კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია სხდომა მოიწვიოს მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს სამი დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ თავმჯდომარე სხდომას არ იწვევს ამ მუხლით დადგენილ ვადებში, კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს საკუთარი ინიციატივით და ჩაატაროს სხდომა.

#### **მუხლი 27. გადაწყვეტილებათა მიღების წესი**

1. სარევიზიო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სამი წევრი მაინც. დაუშვებელია წარმომადგენლობა.

2. გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით.

3. კომისია ვალდებულია თავისი გადაწყვეტილებების ასლები გაუგზავნოს პალატის გამგეობას.

#### **მუხლი 28. სარევიზიო კომისიის ანგარიშვალდებულება**

1. სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია მხოლოდ საერთო კრების წინაშე.

2. სარევიზიო კომისია ვალდებულია ანგარიში წარუდგინოს წლიურ საერთო კრებას. ამასთანავე, სარევიზიო კომისია ვალდებულია წლიური ანგარიში მოამზადოს იმ ვადაში, რომ შესაძლებელი იყოს ამ ანგარიშის წინასწარი გაცნობა ნოტარიუსებისათვის.

### **თავი VI. ეთიკის კომისია**

#### **მუხლი 29. კომისიის ფუნქცია**

ეთიკის კომისიის ფუნქციაა პალატის კომპეტენციაში არსებული სადისციპლინო და ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის საკითხების განხილვა.

#### **მუხლი 30. კომისიის შემადგენლობა**

1. ეთიკის კომისიას ირჩევს საერთო კრება ხუთი წევრის შემადგენლობით 3 წლის ვადით. კომისიის წევრის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საინიციატივო ჯგუფს არანაკლებ ათი ნოტარიუსის შემადგენლობით. შესაბამისი ინიციატივა დასახელებული კანდიდატურის წერილობით თანხმობასთან ერთად კრების ჩატარებამდე სულ ცოტა ოცდაათი საათით ადრე უნდა წარუდგინოს პალატის გამგეობას.

2. ეთიკის კომისიის წევრთა უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტისა და არჩევის საკითხები წესრიგდება ამ წესდებით საფინანსო-სარევიზიო კომისიისათვის დადგენილი ნორმებით.

#### **მუხლი 31. კომისიის კომპეტენცია**

ეთიკის კომისიის კომპეტენცია და მუშაობის წესი დგინდება დებულებით ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხიმგებლობის შესახებ.

### **თავი VII. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

#### **მუხლი 32. პალატის ბიუჯეტის ფორმირების წყაროები**

1. პალატის ბიუჯეტი იქმნება შემდეგი შემოსავლებით:

ა) ნოტარიუსთა სავალდებულო საწევრო გადასახადი;

ბ) სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური;

გ) შემოწირულობა;

დ) გრანტები და სხვა სახის დახმარებები;

ე) პალატის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები;

ვ) სხვა შემოსავლები, რომელთა მიღება არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.



### **მუხლი 33. ყოველწლიური ბიუჯეტი**

1. პალატის ყოველწლიური შემოსავლები და გასავლები აისახება ყოველწლიურ ბიუჯეტში.
2. ყოველწლიური ბიუჯეტის პროექტს ამზადებს პალატის გამგეობა. გამგეობა ვალდებულია მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი განსახილველად გაუგზავნოს ნოტარიუსებს კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებასთან ერთად.

### **მუხლი 34. შემოსავლების ოდენობის დადგენის ძირითადი კრიტერიუმი**

ყოველწლიურ ბიუჯეტში აუცილებლად უნდა აისახოს შემოსავლების სავარაუდო ოდენობა. შემოსავლების სავარაუდო ოდენობის განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმია ნოტარიუსთა სავალდებულო გადასახდელების გადახდით მიღებული შემოსავლების ოდენობა.

### **მუხლი 35. ბიუჯეტის არადეფიციტურობა**

ბიუჯეტით დაგეგმილი ხარჯების ოდენობა უნდა დაიგეგმოს გონივრულობის ფარგლებში, წინა წლის შემოსავლებისა და წლის დასაწყისში არსებული ნაშთის გათვალისწინებით. (30.03.2013 წ.)

### **მუხლი 36. ხარჯის მიზანი (30.03.2013 წ.).**

ხარჯის მიზანია ნოტარიატის დარგის განვითარებისა და პროფესიული ეთიკური ნორმების აღსრულების უზრუნველყოფა.

### **მუხლი 37. სავალდებულო ხარჯები**

1. სავალდებულოა შემდეგი ხარჯების დაფინანსება:
  - ა) შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო, პრემია);
  - ბ) საქონელი და მომსახურება (შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება, მივლინება, ოფისის ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები, ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები);
  - გ) სოციალური უზრუნველყოფა (სოლიდარობის ფონდი);
  - დ) ნოტარიუსთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად მუდმივმოქმედი სასწავლო ცენტრის განვითარების ფონდი;
  - ე) გამგეობის ფონდი (საქველმოქმედო ხარჯი, არაფინანსური აქტივების ზრდა, განაცდური, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება, სესხი, გრანტი და სხვ.)
  - ვ) სხვა ხარჯი (საპენსიო დაზღვევის ფონდი და საგადასახადო ვალდებულებები).
2. ნოტარიუსების მიერ პალატაში საწევრო გადასახადის სახით გადახდილი თანხების 1/3 (ერთი მესამედი) მიემართება პალატის ბიუჯეტის საპენსიო ფონდში და მოხმარდება ნოტარიუსთა კერძო საპენსიო სქემის განვითარებას (15.06.2010 წ.).
3. ნოტარიუსთა სოლიდარობის ფონდისა და გამგეობის ფონდის თანხების ხარჯვის წესი დგინდება შესაბამისი დებულებებით, რომელსაც ამტკიცებს საერთო კრება.
4. პალატისათვის, საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული თანხების გადანაწილება.“

### **მუხლი 38. (ამოღებულია - 30.03.2013 წ.)**

### **მუხლი 39. გრანტების ხარჯვის წესი**

გრანტით მიღებული თანხები იხარჯება შესაბამისი პროექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

### **მუხლი 40. ბიუჯეტის დამტკიცება**

1. ბიუჯეტს ამტკიცებს საერთო კრება არა უგვიანეს ახალი საბიუჯეტო წლის 31 იანვრამდე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადამდე ვერ დამტკიცდება ბიუჯეტი, მისი დამტკიცება მოხდება განმეორებით საერთო კრებაზე სათანადო ქვორუმის არსებობისას. (30.03.2013 წ.)

2. ბიუჯეტის დამტკიცებამდე ხარჯები ფინანსდება არა უმეტეს გასული წლის ბიუჯეტით დადენილი ოდენობით.

#### **მუხლი 41. ბიუჯეტის შესრულების დამტკიცება**

1. გამგეობა ვალდებულია საერთო კრებას წარუდგინოს ყოველწლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

2. გამგეობა ვალდებულია ნოტარიუსებს ანგარიში დაეგზავნოს საერთო კრებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე.

#### **მუხლი 42. გამგეობის პასუხისმგებლობა**

გამგეობის წევრები პასუხს აგებენ პალატის თანხების არადანიშნულებისამებრ ხარჯვაზე.

### **თავი VIII. სახელმწიფო კონტროლი**

#### **მუხლი 43. სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესი**

პალატის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **თავი IX. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი**

#### **მუხლი 44. წესდებაზე ხელმოწერა**

1. წესდებას ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე და კრების მდივანი, რომლებიც პასუხს აგებენ კრების მიერ მიღებული წესდებისა და ხელმოწერილი წესდების ტექსტების იდენტურობაზე.

#### **მუხლი 45. წესდების ძალაში შესვლა**

1. ეს წესდება ძალაშია 2010 წლის 1 აპრილიდან.

კრების თავმჯდომარე

კრების მდივანი